

„გამტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ეროვნული  
ფედერაცია



მშპრილი 2021 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ჩემპიონატი გოგონებში  
(2004-2006)

2021 წელი  
28 აპრილი  
თბილისი

## I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- საქართველოს ძიუდოს გოგონათა ნაკრები გუნდის დაკომპლექტება.

## II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად.

## III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2004-2006 წლებში დაბადებული ძიუდოისტები. **სხვა წლებში დაბადებული ძიუდოისტები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან.**
- მონაწილეები ვალდებული არიან აწონვის დროს წარმოადგინონ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი ორიგინალი საბუთი – პირადობის მოწმობა, ან პასპორტი.

## IV. შეჯიბრების ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- კენჭისყრა ჩატარდება 27 აპრილს აწონვების შემდეგ.
- აწონვის დროს მონაწილე სპორტსმენებმა და მათმა მწვრთნელებმა სავალდებულოა წარმოადგინონ სწრაფი ანტიგენის ტესტის (COVID-19-ის ტესტი) უარყოფითი პასუხი, წინააღმდეგ შემთხვევაში არ დაიშვებიან შეჯიბრებაზე.
- შეჯიბრება ჩატარდება 2021 წლის 28 აპრილს - ქ. თბილისში ძიუდოს აკადემიაში.
- ჩამოსვლის დღე ქ. თბილისი – 27 აპრილი, წასვლის დღე – 29 აპრილი.
- შეჯიბრების დასაწყისი – 11.00 საათი.

## რეგულაციები პანდემიასთან დაკავშირებით

- ჩემპიონატში მონაწილე ყველა პირი (ძიუდოისტები, მწვრთნელები) ვალდებულია წარმოადგინოს ბოლო 24 საათში გაკეთებული სწრაფი ანტიგენის ტესტის (COVID-19-ის ტესტი) უარყოფითი პასუხი, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ დაიშვებიან შეჯიბრებაზე. ძიუდოისტები ტესტის პასუხებს წარმოადგენენ აწონვაზე.
- ჩემპიონატის მიმდინარეობისას ძიუდოს აკადემიის მთელ ტერიტორიაზე ყველა პირი ვალდებულია ატაროს პირბადე. ძიუდოისტებს პირბადის მოხსნა შეუძლიათ ტატამზე შესვლის წინ.

## V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება გოგონათა შორის 8 წონით კატეგორიაში:  
28 აპრილი: -40კგ; -44კგ; -48კგ; -52კგ; -57კგ; -63კგ; -70კგ; +70კგ;

## VI. აწონვა

აწონვა: 27 აპრილს თბილისში, ძიუდოს აკადემიაში  
-40კგ; -44კგ; -48კგ; -52კგ; -57კგ; -63კგ; -70კგ; +70კგ;  
არაოფიციალური 16.00 - 17.00 საათამდე  
ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე

## VII. გამარჯვებულთა დაჯილდოება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

### VIII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა, მსაჯთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებს მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: 2 51 64 66;

საკონტაქტო პირი – 599 79 77 71 გიორგი თენაძე, 577 99 44 07 ზურაბ უსუფაშვილი.

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- **შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა ლურჯი და თეთრი ფერის კიბანოს ქონა.**
- სპორტსმენთათვის დასაშვებია 0.5 კგ ზედმეტი წონა. აწონვა მოხდება მოკლე შარვლითა და მაისურით. წარმომადგენლებს მიეცეთ აწონვაზე დასწრების უფლება.

ფედერაციის პრეზიდენტი



გიორგი ათაბეგაშვილი